

შპს „გლორია LLC GLORIA,

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

2019 წელი ქ თბილისი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

- 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება*
- 2. მოგება ან ზარალის დასხვასრული შემოსავლის ანგარიშგება*
- 3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*
- 4. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება*

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- 1. ზოგადი ინფორმაცია*
- 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა*
- 3. განმარტებითი შენიშვნები*

მმართველობითი ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გლორია LLC GLORIA“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- დასკვნების გაკეთებაზე და შეფასებებზე, რომელიც არის გონივრული და საიმედო;
- ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, სრულდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები რომლებიც ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ ახსნის და განმარტებულ არსებით გადახვევებს; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე, კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ

დირექტორი მურატ თანსუ

მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გლორია LLC GLORIA მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გლორია LLC Gloria“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებებისაგან. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების საფუძველი“ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გლორია LLC Gloria“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

კომპანიაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა (საინვენტარიზაციო ნომრის მინიჭება). განთავსების ადგილია სასტუმრო Tiflis Palace (ქ თბილისი) და სასტუმრო Grand Gloria (ქ ბათუმი). აღრიცხვა წარმოებს ობიექტების მიხედვით. გარდა მიწისა და გარდა სასტუმრო Tiflis Palace-ის შენობა-ნაგებობების ჯგუფისა დანარჩენ ძირითად საშუალებებზე რომელიც განთავსებულია სასტუმრო Tiflis Palace -ში, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება რომ დავრწმუნებულიყავით მათ მდგომარეობასა და რაოდენობრივ სიზუსტეში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ ობიექტში აღრიცხულ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში. რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 4519877 ლარის ღირებულებით.

კომპანიამ 2018 წელს დაასრულა და 1 ივლისიდან ექსპლოატაციაში შეიყვანა მეორე ობიექტი სასტუმრო Grand Gloria სახელით. აღნიშნულ ობიექტში აღრიცხულ ძირითადი საშუალებების ნაწილზე ღირებულება არასწორადაა განსაზღვრული

კერძოდ, შენობა-ნაგებობების ჯგუფის ღირებულებაში შესულია იმ ძირითადი საშუალებების ღირებულებაც რომელიც უნდა აღრიცხულიყო ცალკე ჯგუფად, რაც წარმოადგენს ბასს-დან გადახვევას. კონტრაქტორმა (შპს ა+ა)კომპანიამ რომელთანაც საკონტრაქტო ვალდებულებით განსაზღვრული იყო შენობის შიდა სარემონტო სამუშაების და სასტუმროს ნომრების აღჭურვილობა ავეჯით, მომსახურების მიწოდება მოახდინა ჯამური ღირებულებით, რომელიც მთლიანად შეტანილი იქნა შენობა-ნაგებობების ჯგუფის ღირებულებაში. მენეჯმენტი იმედოვნებს კონტრაქტორთან აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას რომელიც აუდიტის პროცესში დასრულებული არ არის. გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით ბათუმის ობიექტში რიცხული ძირითადი საშუალებების როგორც რაოდენობრივი ასევე თავდაპირველი ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორის დადასტურება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია შესაბამისად 77151645 ლარის ღირებულებით.

კომპანიამ მოახდინა სასტუმრო Tiflis Palace-ში განთავსებული მოძველებული ავეჯის რეალიზაცია რომლის ღირებულებამ 151894 ლარი შეადგინა. რეალიზებული ძირითადი საშუალებების გასვლა (ჩამოწერა) შესაბამისი საბალანსო ანგარიშებიდან არ მომხდარა, შესაბამისად სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია შემოსავლების ნაწილში გაზრდილია.

აღნიშნული გარემოებების არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება ძირითადი საშუალებების 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული დღით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა ინფორმაცია რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გლორია LLC Gloria“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- დასკვნების გაკეთებაზე და შეფასებებზე, რომელიც არის გონივრული და საიმედო;
- ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, სრულდება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები რომლებიც ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულ ახსნილ და განმარტებულ არსებით გადახვევებს; და

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე, კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- და თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტს ვატარებთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;

- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვითხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ

აუდიტორული კომპანია

„პროფესიონალი“-ს (SARAS-F- 643316) სახელით

მზია რობაქიძე (SARAS-A-305662)

- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საადრიცხო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ

აუდიტორული კომპანია

„პროფესიონალი“-ს (SARAS-F- 643316) სახელით

მზია რობაქიძე (SARAS-A-305662)




საქართველო. ქ. თბილისი, 2019 წლის 11 ოქტომბერი

შპს " გლორია LLC Gloria"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	4793625	4793625	4793625
შენობები	87562527	10488420	11948013
სხვა ძირითადი საშუალებები	5242126	3868496	4333123
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	76436734	63116223
არამატერიალური აქტივი	198082	32001	37648
ჯამი	97796360	95619276	84228632
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	772371	233142	228982
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1462971	2780445	4620313
ფული და ფულის ექვივალენტები	1885869	2234954	397717
სხვა მიმდინარე აქტივი	84044	127975	181272
მოთხოვნა საქვანგ/ გაცემული თანხებიდან	18389	21879	
საგადასახადო აქტივი	865000	4562121	6556872
ჯამი	5088644	9960517	11985156
სულ აქტივები	102885004	105579793	96213788
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	159743942	145811669	134649832
გრძელვ ვალდებ			
ჯამი	159743942	145811669	134649832
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1107349	316913	440196
საგადასახადო ვალდებულება	306287		
ჯამი	1413637	316913	440196
სულ ვალდებულებები	161157579	146128582	135090028
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	4636520	4636520	4636520
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-62909094	-45185310	-43512760
რეზერვები			0
ჯამი	-58272574	-40548790	-38876240
სულ კაპიტალი და ვალდებულება	102885004	105579792	96213788

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი მურატ თანსუ
მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა



შპს "გლორია LLC Gloria"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	5,742,010	5,442,902
	-	-
გახარჯული მარაგების თვითღირებულება	(802,557)	(1,109,067)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,108,600)	(2,499,693)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,544,417)	(1,426,864)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,131,704)	(2,895,822)
სულ საოპერაციო ხარჯი	(11,587,277)	(7,931,446)
საოპერაციო მოგება	(5,845,267)	(2,488,544)
	-	-
სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი	138,934.27	702,091.00
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	138,934	702,091
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	(12,017,454.66)	113,902.73
არასაოპერაციო შემოსავლები	38,244	81,214
არასაოპერაციო ხარჯი	(7,720,223)	(2,415,923)
საკურსო სხვაობა +/-	(4,335,476)	2,448,612
მოგება დაბეგვრამდე	(17,723,789)	(1,672,550)
მოგების გადასახადი		
წლის სრული შემოსავალი	(17,723,789)	(1,672,549)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი მურატ თანსუ
 მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა



"შპს" გლორია LLC Gloria"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	7375297	5936112
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-7329414	-9501824
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2355543	-1695587
სხვა საოპერაციო ხარჯები	-67215.89	-60220
ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ	2000016	1000000
სულ	-376859.89	-4321519
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	149076	957995
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	149076	957995
მიღებული სესხი		5130644
მიღებული პროცენტი ბანკის დეპოზიტიდან	23128	14647
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა	-144430.11	55471
სულ	-121302.11	5200762
სულ ფული	-349086	1837238
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	2234955	397717
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1885869	2234955

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი მურატ თანსუ
 მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა



შპს "გლორია LLC Gloria"
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება/დაუ ფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	4636520	-45185310	-40548790
კაპიტალის ცვლილება	0		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	0	-17723789	-17723789
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	4636520	-62909099	-58272578

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით.

დირექტორი მურატ თანსუ

მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა



Sps" g//oria LLC Gloria"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	<u>31.12.2018</u>	<u>31.12.2017</u>	<u>31.12.2016</u>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	4793625	4793625	4793625
შენობები	87562527	10488420	11948013
სხვა ძირითადი საშუალებები	5242126	3868496	4333123
დაუძთავრებელი მშენებლობა	-	76436734	63116223
არამატერიალური აქტივი	198082	32001	37648
ჯამი	97796360	95619276	84228632
მიმდინარე აქტივები			
ძარაგები	772371	233142	228982
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1462971	2780445	4620313
ფული და ფულის ექვივალენტები	1885869	2234954	397717
სხვა მიმდინარე აქტივი	84044	127975	181272
მოთხოვნა საქვეანგ/ გაცემული	18389	21879	
საგადასახადო აქტივი	865000	4562121	6556872
ჯამი	5088644	9960517	11985156
სულ აქტივები	102885004	105579793	96213788
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	159743942	145811669	134649832
გრძელვ ვალდებ			
ჯამი	159743942	145811669	134649832
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1107349	316913	440196
საგადასახადო ვალდებულება	306287		
ჯამი	1413637	316913	440196
სულ ვალდებულებები	161157579	146128582	135090028
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	4636520	4636520	4636520
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	-62909094	-45185310	-43512760
რეზერვები			0
ჯამი	-58272574	-40548790	-38876240
სულ კაპიტალი და ვალდებულება	102885004	105579792	96213788

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი მურატ თანსუ
მთ. ბულალტერი ინგა კოზმავა

Sps" g ■ oria LLC Gloria"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	5,742,010	5,442,902
	-	-
გახარჯული მარაგების თვითღირებულება	(802,557)	(1,109,067)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,108,600)	(2,499,693)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,544,417)	(1,426,864)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,131,704)	(2,895,822)
სულ საოპერაციო ხარჯი	(11,587,277)	(7,931,446)
საოპერაციო მოგება	(5,845,267)	(2,488,544)
	-	-
სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი	138,934.27	702,091.00
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	138,934	702,091
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	(12,017,454.66)	113,902.73
არასაოპერაციო შემოსავლები	38,244	81,214
არასაოპერაციო ხარჯი	(7,720,223)	(2,415,923)
საკუროსო სხვაობა +/-	(4,335,476)	2,448,612
მოგება დაბეგვრამდე	(17,723,789)	(1,672,550)
მოგების გადასახადი		
წლის სრული შემოსავალი	(17,723,789)	(1,672,549)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დირექტორი მურატ თანსუ

მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა

Sps" gloria LLC Gloria"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	7375297	5936112
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-7329414	-9501824
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2355543	-1695587
სხვა საოპერაციო ხარჯები	-67215.89	-60220
ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ	2000016	1000000
სულ	-376859.89	-4321519
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	149076	957995
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	149076	957995
მიღებული სესხი		5130644
მიღებული პროცენტი ბანკის დეპოზიტიდან	23128	14647
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა	-144430.11	55471
სულ	-121302.11	5200762
სულ ფული	-349086	1837238
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	2234955	397717
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1885869	2234955

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი პურატ თანსუ
 მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა

Sps" g *loria* LLC Gloria"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება/დაუ ფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	4636520	-45185310	-40548790
კაპიტალის ცვლილება	0		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	0	-17723789	-17723789
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	4636520	-62909099	-58272578

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დირექტორი მურატ თანსუ

მთ. ბუღალტერი ინგა კოზმავა

1. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლორია LLC GLORIA“ რეგისტრირებულია 2010 წ. 16 თებერვალს იურიდიული მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, გორგასალის ქ. №3 საიდენტიფიკაციო კოდი: 404379338 სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება და კვებითი მომსახურება .

ბოლო 16.06.2017 წლის ცვლილებით კომპანიას ფლობენ:

3248953, ჯამილაასგაროვა, აზერბაიჯანი წილი- 24.62%

3274610, მალაჰატასგაროვა, აზერბაიჯანი წილი- 24.62%

P3248551, ზარიფაგამბაევა, აზერბაიჯანი წილი- 50.76%

შესაბამისად კომპანიის საბოლოო მკონტროლებელია, დირექტორი

დირექტორი - 52006165184, U05275145, , მურატთანსუ, თურქეთი

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1.1 მომზადების საფუძვლები

ა)- ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე.

ბ)- შეფასების საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ)- საქმიანობის უწყვეტობა ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში მიღებული ზარალის მიუხედავად, კომპანიას არ უჭირს დამფუძნებლისაგან უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერის მიღება. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს აქვთ საქართველოში კომპანიის საქმიანობის შემდგომი განვითარების სურვილი.

დ) - სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები „კომპანიის“ მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება მეორე. ფასს 1-ის მიხედვით სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ „კომპანია“ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 17 აპრილს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას, რაზე დაყრდნობითაც ფასს-ზე გადასვლის თარიღი „კომპანიისთვის“ არის 2017 წლის 1 იანვარი

2.2. ახალი ფასს-ების მიღება

- ა) 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები ჩაანაცვლა არსებული ბასს 39. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-დან მოთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ძირითადი მოთხოვნებია: ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა; ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა; აღიარების შეწყვეტა.
 - ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან, ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტმა შეცვლა არსებულ მეთოდურ მითითებები შემოსავლების აღიარების თაობაზე, ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპები იმაში მდგომარეობს, რომ საწარმომ შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული: კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია.

- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა-სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შენაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავს საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება-ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებული, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). კომპანია აფასებს ფასს-16 გამოყენების პოტენციურ გავლენას.

2.3.ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის, ხოლო არაფულადი მუხლების გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულიშემოსავლებისანგარიშებაში.

წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს
ეროვნული ბანკის
ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები თუ ის ცვლის ან აკეთილშობილებს აქტივს განიხილება როგორც კაპიტალიზებადი ხარჯი და შეიტანება აქტივის ღირებულებაში

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. წლიური ცვეთის ნორმა განსაზღვრულია კლასიფიკაციის მიხედვით. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთების მეთოდს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში, ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეტა შესწორდება შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის ნორმები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	5%
აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
მანქანა -დანადგარები	8%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
სხვა	20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
	ცვეთა

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება ანალოგიურად, როგორც შეძენილი ძირითადი საშუალების თვითღირებულების განსაზღვრა. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს (კონვერსიის ხარჯებს) და სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

მშენებლობასთან დაკავშირებული სესხის სარგებლობის დანახარჯები შეიტანება აქტივის ღირებულებაში, ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რადგან იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯის კორექტირება.

2.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს, იმ აქტივებს რომელთაც გამოყენების განუსაზღვრელი ვადა გააჩნიათ. ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 15%-ით, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების ცვეთის პრინციპების შესაბამისად.

აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

2.6. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და

ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები (ფასს 9)

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას

ფინანსური აქტივები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

მოთხოვნების და სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება შემცირებული ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ საექვო მოთხოვნებისა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო დავა. ასეთ დროს საექვო მოთხოვნა აღირიცხება სხვა მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

იმ შემთხვევაში, ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

თუ ამოღება შესაძლებელი გახდება მცირდება გაუფასურების რეზერვის თანხა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული

თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან: რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მიღებული სესხებით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით. საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. უცხოურ ვალუტაში

განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში **ურთიერთგადახურვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის

2.8 გადასახადები

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის ხარჯს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება. აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.10. სხვა შემოსავალი

ამონაგების გარდა სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.11. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი

ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.12. სესხის სარგებლობის დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან ჩაირთვება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯის სახით. განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯები მოიცავს: საპროცენტო ხარჯს, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობას, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

2.13. სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

2.14. საწესდებო კაპიტალი კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით.

კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული

კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16. კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის

განმავლობაში

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით D (ლარი)

	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები/ნ საგებ	იჯარით აღებ/ქონ ების კეთილმ	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვი ლობა და ავეჯი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	მრავალ წლიანი ნარგავე ბი	სულ
ღირებულება										
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4793625	13297222	76436734	0	26118	787070	7307323	424609	67421	103140122
შეძენა		301147	2882539			462513	1953625	154370	3152	5757346
კაპიტალიზაცია				79319273						79319273
გასვლა			79319273		26118			230350		79575741
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომ	4793625	13598369	0	79319273		1249583	9260948	348629	70573	108641001

ცვეთა

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		2834919	0			438864	4148949	130114		7552846
პერიოდის ცვეთა		538220.1		1982928	0	132684.18	835948.9	32890.49	0	3522672
გასული ცვეთა		0	0			0	0	32791.4		32791
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომ		3373139	0	1982928	0	571548	4984898	130213	0	11042727
წმინდა საბ/ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4793625	10225230	0	77336345		678035	4276050	218416	70573	97598274

კომპანია 2018 წლის 1 ივლისიდან ექსპლოატაციაში შეიყვანა 170 ადგილიანი სასტუმრო კომპლექსი ქ. ბათუმში რომლის მშენებლობა დაწყებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში

3.2 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამა Materials Control BASE ON ORACLE	პროგრამა micros 3700	პროგრამა ორისი"	სხვა	fidelios	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	6769	20640	3480	22517		53405
შემენა				4457	183373	187830
გასვლა (რეალიზაცია)						0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6769	20640	3480	26974	183373	241235
ამორტიზაცია						
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	2713	8273	1395	9025		21406
პერიოდის ცვეთა	616	2153	280	4865	13832	21747
გასული ცვეთა						0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3329	10426	1675	13890	13832	43153
წმინდა საბალანსო ღირებულება	3440	10214	1805	13084	169541	198082
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	4056	12367	2085	13492	0	32000
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3440	10214	1805	13084	169541	198082

საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას

3.3 მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკვები (სურსათი)	155484
სასმელები	103890
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	2483
სხვა	510513
სულ	772371

არასავაჭრო პროფილის მიუხედავად, საქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე მიის გამოყენების ფორმის მიხედვით. ძირითადი სახეები საკვები პროდუქტები, სასმელები, სხვა სამეურნეო საქონელი და საწვავი). ყოველდღიურად ხდება მათი გახარჯვა გამოყენების აღრიცხვა მარაგების აღრიცხვის სპეციალური პროგრამის მეშვეობით. საბუღალტრო პროგრამაში გახარჯული მარაგები ანგარიშიდან ჩამოიწერება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგები რომელთა ფასი იმცირეა მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო) პირდაპირ აღრიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

3.4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად **ფინანსური მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები	415,950
საექვო მოთხოვნები	351,926
გადახდილი ავანსი ძირითადი საშუალებების შესაძენად	264,500
	1,032,376

არაფინანსური მოთხოვნები

სხვა გადახდილი ავანსები	430551
სულჯამი	1462927

სავაჭრო მოთხოვნებიდან 22885 ლარის მოთხოვნაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, დანარჩენი

ითვლება მიმდინარედ. წინა საანგარიშო პერიოდში სამშენებლო კომპანიასთან გადახდილი იყო 1121536 საიდანაც დარჩა შეუსრულებელი მოთხოვნა 264500 ლარზე, რაც მიმდინარეა. კომპანიამ მოახდინა 82910 ლარის საექვმოთხოვნის (როგორც უიმედო) ჩამოწერა, ნაშთად რჩება 351926 ლარის საექვმოთხოვნა.

სავაჭრო მოთხოვნების უპროცენტო ფინანსური აქტივები. დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო დასხვა მოთხოვნების მუხლში შემავალი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

3.5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოური ვალუტაში	1755434.86
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	75473.43
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	39559.81
ფული გზაში	15401.29
სულ	1885869.39

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

წინასწარ გაწეული ხარჯები	84,044
--------------------------	--------

3.7. გრძელვადიანი სასესხოვალდეულებები

მიღებული სესხები, გადასახდელი პროცენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

კონტრაქტორები	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	01.01.2018		31.12.2018	
			ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
EURO-ASIA AIR SERVICES FZE (არარეზიდენტი კომპანია)	რეფინანსირებული +0.5%	17.04.2022	117552550	45348565	121379969	45348565
პარტნიორის სასესხო აშშ დოლარში	უპროცენტო	01.03.2022	259088	99949	267523	99949
პარტნიორის სესხო ლარში	უპროცენტო	20.02.2020	526000	0	526000	0
საპროცენტო ვალდეულება			27449133	10589126	37570449	14036632
სულ:			145786771	56037640.3	159743942	59485146

გრძელვადიანი სასესხო ვალდეულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

2018 წლის 1 იანვარი	145786771
მონეტარული ცვლილებანი (გაზრდა)	0
არამონეტარული ცვლილებები	0
კურსტაშორის სხვაობის ეფექტი	5202714
დარიცხული პროცენტი	8754456
2018 წლის 31 დეკემბერი	159743942

პარტნიორის სესხებს არერიცხება პროცენტი. დაფარვის ვადაროგორც ძირითადი, ისევე საპროცენტო თანხის განსაზღვრულია ბოლო წელს.

სესხების ძირითადი ნაწილი მოხმარდა და უმთავრესად მშენებლობას საპროცენტო ხარჯი შესაბამისი წილით შესული აქტივის ღირებულებაში დანარჩენი მოგება ზარალში. 8754456 ლარიდან კაპიტალიზირებულია 1037804 ლარი, დანარჩენი 7716651 ლარია სახელის სახსრულ შემოსავალში.

სესხებზე დარიცხული საკურსო სხვაობიდან 5202714 ლარიდან ხარჯებში ასახულია 4104053 დანარჩენი კაპიტალიზირებულია

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი

მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა და, ხელმძღვანელობა თვლის რომ როგორც სესხი ასევე საპროცენტო ხარჯის რისკი კომპანიისთვის არ წარმოადგენს რისკ ფაქტორს.

სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

მიმდინარე ვალდებულებები

3.8. სხვა საფაქრო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

საფაქრო ვალდებულებები	929,879
მიღებული ავანსები	177,470
სულჯამი	1,107,349

ვალდებულებების ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის წილობრივობა დამფუძნებლებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად: 3248953,

ჯამილას გაროვა, აზერბაიჯანი წილი- 24.62%-1141511 ლარი

3274610, მაღაჰატას გაროვა, აზერბაიჯანი წილი- 24.62%- 1141511 ლარი

P3248551, ზარიფაგამზაევა, აზერბაიჯანი წილი- 50.76%-2353498 ლარი

პარტნიორთა კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია 4636520 ლარის ღირებულებით რომელიც აანგარიშო პერიოდში არ

შეცვლილა

3.10. ამონაგები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავლები სასტუმრო მომსახურებიდან	3,118,192
კვების სექტორის შემოსავლები	2,357,909
სხვა შემოსავლები	265,910
სულ	5,742,010

სხვა

შემოსავლები

კონფერენციებიდან	69,413
იჯარიდან	10686.28
სამრეცხაოს მომსახურებიდან	82555.9
სპა ცენტრის მომსახურებიდან	12271.69
და სხვა	90982.72

ჯამი 265910

3.11.გახარჯული მარაგების თვითღირებულება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია

შემდეგნაირად:

პროდუქტები	-637935
სასმელები	-149360
სხვა	-15262
სულ	-802557

3.12. სხვა საოპერაციო ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომუნალური ხარჯი	-472,412
კომუნიკაციის ხარჯი	-70,035
ბანკის საკომისიო	-47,811
დასუფთავება/ჰიგიენის/სამეურნეო	-140,128
რემონტის დანახარჯები	-658,669
რეკლამის ხარჯები	-87,218
იჯარის ხარჯი	-39,009
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	-35,309
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-92,847
ბუკინგის მომსახურების ხარჯი	-383,409
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	-33,365
დაცვის მომსახურების ხარჯი	-44,619
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	-150,854
პროგრამული მომსახურების ხარჯი	-73,698
საპროექტო მომსახურების ხარჯი	-16,014
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-21,392
ლიფტის მომსახურების ხარჯი	-42,042
სატრენინგო მომსახურების ხარჯი	-13,764
მუსიკოსების ხარჯი	-36,582
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯი	-50,063
დაზღვევის ხარჯი	-237,056
სამრეცხაო მომსახურების ხარჯი	-45,402
სხვა ფინანსური ხარჯი (დაბეგრილი)	-80,229
საკანცელარიო ხარჯი	-8,905
კომპიუტერის ხარჯები	-16,640
საწვავის ხარჯი	-26,609
ტრანსპორტის შეკეთების ხარჯი	-28,571
დეკორაციის ხარჯი	-17,243
საგადასახადო ხარჯი	-931,363
მარაგების ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკ	ლ -32,853
უიმედო დებიტორების ჩამოწერა	-82,910
სხვა საერთო ხარჯები	-114,685
	-4,131,704

3.13.სხვასრულიშემოსავალიდახარჯი 31.12.2018

ძირ/საშუალების გაყიდვა (2 ერთეული ა/მანქ)	-12,959
ძირ/საშუალების გაყიდვა (ავეჯის)	151,894

კომპანიამ გაყიდა მოძველებული სასტუმროს ავეჯი 151894 ლარის ღირებულების, რომლის ჩამოწერა შესაბამის საბალანსო ანგარიშიდან არ მომხდარა, რადგან ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება

3.13.ფინანსური შემოსავალიდახარჯი 31.12.2018

საპროცენტო შემოსავლები	23,129
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული მარაგების	10,369
საპროცენტო ხარჯი	-7716652
ჯარიმები	-500
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,746
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-3,072
საკურსო სხვაობა	-4335476

სულ - 11878520

3.15.წმინდამოგებასაკურსოსხვაობიდან 31.12.2018

ფულის და ფულის ექვივალენტების	-118,962
სხვა ფინანსური ინსტრუმენტების	-112,460
სესხების გადაფასებასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	-4104053

სულ

-4335476

3.16 სახელშეკრულებო ვალდებულებები

2011 წლის 17 ივნისს შპს „გლორია LLC Gloria“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება ბათუმში მდებარე მიწის (9900 კვმ) ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ, კომპანიას აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაეკისრა ქონების განვითარები ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა არანაკლებ 159 ნომრიანი თანამედროვე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას. საანგარიშგებო პერიოდში შესრულებულია აღებული ვალდებულება 1 ივლისიდან ექსპლოატაციაში შევიდა 170 ადგილიანი სასტუმრო კომპლექსი.

3.17.პირობითი ვალდებულებები

სასამართლოდავები. აწარმოებს დავას 2 კომპანიასთან მიწოდებული მომსახურების ამოღების მიზნით 22885 ლარზე,.

გადასახადები.

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში გადაიხდის.

3.18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს დამფუძნებლებს, მმართველ დირექტორს და მაღალი დონის რგოლის მართვის მენეჯერებს.

სესხები

დამფუძნებლებიდან აღებული აქვს ორი სესხი, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

ხელფასის სახით მიღებული

2018 წელს დირექტორის ხელფასი ჯამურად შეადგენს 180000 ლარს, ხოლო მენეჯერების ჯამური ანაზღაურება 779340 ლარს.

3,19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშოპერიოდისშემდგომისეთმნიშვნელოვანგარემოებებს,რომელთაფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებასაჭირო იქნებოდა,ადგილიარჰქონია.

შპს გლორია LLC GLORIA
მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა
კორპორატიული მართვის ანგარიშგება
არაფინანსური ანგარიშგება
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

საქმიანობის მომოხილვა

შპს გლორია LLC GLORIA დაფუძნდა 2010 წლის 10 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა #3, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404379338. სუბიექტს დაფუძნებისას ჰქონდა სახელწოდება „ეს დაბლიუ -ინ“, სახელწოდება შეიცვალა 2012 წლის 09 მარტს და დაერქვა “ შპს გლორია LLC GLORIA. დღეის მდგომარეობით კომპანიას ყავს სამი დამფუძნებელი პარტნიორი ჯამილა ასგაროვა 24,62 %, მაღაჰატ ასგაროვა 24,62% და ზარიფა გამაჰევა 50,76%. სამივე პარტნიორი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე.


შპს გლორია LLC GLORIA არ ფლობს წილებს სხვა კომპანიებში

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი დირექტორად არჩეულია ჯევათ გუვენი პ.ნ. 52006165184, U05275145, , მურატთანსუ, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურეობა, რომელიც როგორც დარგი საქართველოში აქტუალური ბიზნეს საქმიანობაა. კომპანიის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისში და ბათუმში:

1. თბილისში - სასტუმროს სახელით **Tiflis Palace**, რომელიც არის 46 ნომრიანი, მდიდრული ტიპის სასტუმრო და მდებარეობს თბილისის იტორიულ ცენტრში, მისამართზე: თბილისი, გორგასალის ქ #3, ასევე აქვს რესტორანი „ტიფლისის ვერანდა,, რომელიც განთავსებულია სასტუმროს ბოლო სართულზე (ვერანდაზე).

2018 წლის 1 ივლისიდან ექსპლოატაციაში შეიყვანა ახალი ობიექტი ქ ბათუმში შერიფ ხიმშიაშვილის ქ. #22-ში მდებარე, სახელით **Grand Gloria**, 170 ნომრიანი, ფემენებელური სასტუმრო კომპლექსი რომელიც ამ თარიღიდან უწყვეტად ღებულობს სტუმრებს.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება



საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2017	2018
სასტუმრო მომსახურება	2810855	3118192
სარესტორნო მომსახურება	2251867	2357909
სხვა შემოსავალი	380179	265910

	2017	2018	ცვლილება %
ამონაგები	5442901	5742011	6,0
მარაგების ხარჯი	-1109067	-802557	-27,6
შრომის ანაზღაურება	-2499693	-3108600	24,4
სხვა საოპერაციო ხარჯები	-2895822	-4048794	42,7
ცვეთა და ამორტიზაცია	-1426864	-3544417	148,4
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	815994	-11878520	-1555,7
მოგება/ზარალი	-1672550	-17723788	959,7

ლიკვიდურობის მაჩვენებლები

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	7.1	133.4
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1582.6	236.9
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	31.4	3.6

წინა საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიას გააჩნდა აქტივები ძირითადი საშუალებების სახით თბილისის ფილიალში და დაუმთავრებელი მშენებლობა ბათუმის ფილიალში. 2018 წელს ივლისის თვეში ექსპლოატაციაში გრანდიოზული სასტუმრო შეიყვანა ბათუმის ფილიალში, რამაც განაპირობა აქტივების ზრდა და შესაბამისი ხარჯის ზრდა.

კომპანიის შემოსავლები სასტუმრო ტიფლის პალასში შემცირდა იმის გამო რომ მიმდინარეობდა სასტუმროს მიმდინარე რემონტი რის გამოც მომსახურება შეჩერებული ჰქონდა 5 თვის განმავლობაში.

შემოსავლების ზრდა განპირობებულია ახალი ობიექტის მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლებით. რაც შეეხება საოპერაციო ხარჯებს გაიზარდა ყველა კომპონენტი ახალი ობიექტის ამუშავების გამო. გაიზარდა არასაოპერაციო ხარჯები მ.შ. საკურსო სხვაობის ხარჯი 6784088 ლარით სესხის პროცენტი 5300728 ლარით. აღნიშნული შედეგის გამოსწორებას კომპანია გეგმავს ახალი ობიექტის სრული დატვირთულობის ხარჯზე.

არაფინანსური ანგარიშგება

სასტუმროს ვიზიტორთა რაოდენობა

	2017	2018
სასტუმრო Tiflis Palace	16216	11650
სასტუმრო Grand Gloria	0	12502

დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა

	2017	2018
სასტუმრო Tiflis Palace	95	101
სასტუმრო Grand Gloria	0	135

თანამშრომლები: კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ

უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, იგი სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება

განვითარების რესურსები:

- საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- გამოცდილება შესაბამის სექტორში;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

ძირითადი რისკები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: ეკოლოგიური რისკები; სასტუმრო მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირების რისკები; კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები;

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და სტუმრების შემოსვლას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

სხვა რისკები:

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირაცია

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები
გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს,
რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების,
მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების
შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო
ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის
სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევეს აღნიშნულ რისკს

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო
კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

კომპანიის მმართველი რგოლის წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებლები „ბუღალტრული
აღრიცხვის ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ,, საქართველოს კანონის შესაბამისად ამ
ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე
მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ

შპს გლორია LLC GLORIA

დირექტორი:

მურად თანსუ

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები
გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს,
რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების,
მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების
შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო
ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის
სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევს აღნიშნულ რისკს

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო
კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

კომპანიის მმართველი რგოლის წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებლები „ბუღალტრული
აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის შესაბამისად ამ
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე
მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ

შპს გლორია LLC GLORIA

დირექტორი:

მურად თანსუ

